გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2020-2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაცია

2. **თემატიკა:**

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები ადგილობრივ დონეზე;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში (ფართობი–692 კვ.კმ), მისი დასავლეთი საზღვარი გაუყვება შავი ზღვის სანაპიროს (განმუხური, ანაკლია), ჩრდილო–დასავლეთით აფხაზეთის ადმინისტრაციული ზოლი (გალის რაიონი), ჩრდილოეთით და ჩრდილო–აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სამხრეთით კი, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები ესაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი სამეგრელო ზემო–სვანეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია.

ადმინისტრაციული ცენტრი: **ზუგდიდი**

ადმინისტრაციული ერთეული – 53.

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 339 კმ.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება–დასახლებულობა უშუალოდ დაკავშირებულია მისი მიწების სამეურნეო ათვისების პირობებსა და შესაძლებლობებთან, ამავე დროს საკუთრივ ქალაქ ზუგდიდის, როგორც შემკრები ცენტრის მზარდ განვითარებასთან. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი დევნილი მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლების მხრივ ყველაზე დიდი ცენტრია თბილისის შემდეგ. ამასთან მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ ქ. ზუგდიდი სამეგრელოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

მოსახლეობა დევნილთა ჩათვლით – 161351

ქალაქის მოსახლეობა– 64571

სოფლების მოსახლეობა –96780

2014 წლის საქსტატის მიერ საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული შედეგების დიაგრამა გენდერულ ჭრილში:



5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

იმისათვის, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ წარმატებით განახორციელოს პროგრამები/პროექტები აუცილებელია შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილებას 2019 წლიდან დაემატა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობის ფუნქციაც. საკადრო ცვლილებების შედეგად საჯარო მოხელეთა შემცირებული რაოდენობის მიუხედავად სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება, სოციალური დაცვის მრავალფეროვანი პროგრამების განხორციელების გარდა, აქტიურად არის ჩართული გენდერული თანასწორობის საკითხებში.

დადებით შიდა ფაქტორს წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა მაღალი კვალიფიკაცია, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

დადებითი გარე ფაქტორია საერთაშორისო და ადგილობრ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი ფინანსური მხარდაჭერა. მერია სისტემატიურად თანამშრომლობს, როგორც სამთავრობო, ასევე, სამოქალაქრო სექტორთან.

ხელისშემშლელ გარე ფაქტორად უნდა აღინიშნოს COVID 19-ით გამოწვეული პანდემია, რომელმაც დაგეგმილი შეხვედრების მოწყობას გარკვეულ წილად ხელი შეუშალა და მოქალაქეთა აქტივობა შეამცირა.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი;

გენდერული თანასწორობის საკითხები არამხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, არამედ გლობალური პრობლემაა. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში პროგრესი აშკარაა. ქალთა უფლებები დღეს წინ არის წამოწეული და მათ უკვე იციან თავიანთი უფლებები, საუბრობენ ხმამაღლა და უზიარებენ გამოცდილებას სხვა ქალებს. 2015 წელს, როდესაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალური დაცვის პროგრამაში გაჩნდა კოდი - ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის პროგრამა (ქვეყნის მასშტაბით პირველად აისახა მუნიციპალურ ბიუჯეტში) ჯერ კიდევ ერიდებოდნენ მომართვიანობას საზოგადოებაში არსებული სტიგმიდან გამომდინარე. 2015, 2016 და 2017 წელს მერიას ჯამში მიმართა მხოლოდ 8 ბენეფიციარმა. 2018-19-20 წელს კი 109 ძალადობის



მსხვერპლმა. ეს მონაცემები(იხილეთ დიაგრამა) არ ნიშნავს, რომ ძალადობის ფაქტები გაიზარდა და მანამდე არ ხდებოდა ძალადობა მუნიციპალიტეტში. ეს საინფორმაციო კამპანიების, უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შედეგია. აქედან გამომდინარე, მომართვიანობაც გაიზარდა. დღესდღეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობის კუთხით, რომელსაც ახორციელებს სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება, მერის ბრძანებით დანიშნული გენდერზე პასუხისმგებელი პირი, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოებით დაკომპლექტებული უწყებათაშორისი კომისია, რომელიც პირველად დაინერგა ზუგდიდში.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად მრავალი ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე. ამ მიმართულებით ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე შეიქმნა ინსტიტუციები, რომლებიც გენდერული პოლიტიკის განხორციელებისათვის მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია. 2016 წელს, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძვლზეც ადგილობრივ თვითმმართველობების ორგანოებს დაევალათ ადგილებზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. კანონით განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა და გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნა.

საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭო (დანართი N1), განისაზღვრა „ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა“ (დანართი N2) ამავე პერიოდისათვის დამტკიცდა „ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუქა“ (დანართი N3). 2019 წლის ბოლოს (სექტემბერი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილებას დაემატა გენდერული თანასწორობის საკითხების ხელშეწყობის ფუნქცია. შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილებები სამსახურის დებულებაში და გადანაწილდა ფუნქციები განყოფილების თანამშრომლებს შორის (დანართი N4).

ამასთან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დაინიშნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი (დანართი N5).

შემუშავებულ იქნა „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის 2020 წლის სამოქმედო გეგმა“, ხოლო, შემდეგ „სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ 2020 წელს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული მუშაობის ანგარიში“(დანართიN6), ასევე, „გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ფარგლებში ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“ ფარგლებში 2019-2020 წლებში განხორციელებული აქტივობები“ (დანართი N7).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია პირველია, რომელმაც ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით შექმნა უწყებათაშორისი კომისია.(დანართიN8)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაცია



- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

ცხრილი N1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის 2020 წლის სამოქმედო გეგმა“

N	მიმართულებები	აქტივობა	მომსახურება	ფინანსური უზრუნველყოფა		განხორციელების პერიოდი
				გენდ. აქტივობა	სოც. და ჯანდაცვა	
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა;	საინფორმაციო კამპანია, გენდერული თანასწორობის, ქალთა გაძლიერების მიმართულებით აღსანიშნავ დღეებზე მოსახლეობის ჩართულობა, ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო-საინსტრუქტაჟო შეხვედრების მოწყობა;	ადმინ. ხარჯები	200	0	მთელი წლის განმავლობაში
		საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება;	ბუკლეტი	1000	0	II კვარტალი
		სოციალურ ქსელში აქტივობა;		0	0	მთელი წლის განმავლობაში
2	გენდერული თანასწორობის მიმართულებით მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, ურთიერთთანამშრომლობა	გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა;		0	0	II კვარტალი
		სამოქალაქო სექტორის მიერ ინიცირებულ საინფორმაციო შეხვედრებში ჩართულობა;		0	0	მთელი წლის განმავლობაში
		მერიის მიერ ინიცირებული მრგვალი მაგიდის ფარგლებში დისკუსია;	მრგვალი მაგიდა	300	0	III კვარტალი
3	გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების შექმნა	53 ადმინისტრაციულ ერთეულში 4-5 კაციანი ჯგუფების დაკომპლექტება		0	0	II კვარტალი
		საინფორმაციო შეხვედრის მოწყობა		0	0	III-IV კვარტ
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა;	გენდერული თანასწორობის საბჭოში ჩართულობა;	საბჭოს წევრი	0	0	მთელი წლის განმავლობაში
		საბჭოს მიერ გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;		0	0	მთელი წლის განმავლობაში
5	სტრუქტურული ერთეულების	გადამზადება კვალიფიციური ორგანიზაციის მიერ;	ტრენინგი (სერთიფიც	3000	0	III კვარტალი

	წარმომადგენლების, ადმინ. ერთეებულებში მერის წარმომადგენლებისა და მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების წარმომადგენელთა ჩართულობა		ირებული)			
		შემდეგ ურთიერთთანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლა, სპეციალური სტატისტიკის, ანგარიშის წარდგენა გენდერული თანასწორობაზე პასუხისმგებელ სტრუქტურული ერთეულისთვის;		0	0	მთელი წლის განმავლობაში
6	გენდერული სტატისტიკის წარმოება;	მერიის შესაბამისი განყოფილების მიერ ინფორმაციის მოგროვება და სტატისტიკურად დამუშავება;		0		მთელი წლის განმავლობაში
7	ქალთა საჭიროებებზე კვლევის ჩატარება;	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება ფარგლებში მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე კვლევის განხორციელება;	კვლევა	0	5 000	III კვარტალი
8	მერიის მიერ ქალთა საჭიროებების გაძლიერებაზე შემუშავებული პროგრამების შემუშავება-განხორციელება (სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები)	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახის, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერა;	ფულადი მხარდაჭერა	0	90 000	მთელი წლის განმავლობაში
		მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა;	ფულადი მხარდაჭერა	0	60 000	მთელი წლის განმავლობაში
		სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება;	ფულადი მხარდაჭერა	0	10 00	მთელი წლის განმავლობაში
		ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამა; 25-70 წლის ასაკის მაღალი რისკის მქონე ქალებში;	სკრინინგი	0	50 000	მთელი წლის განმავლობაში
		სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა;	ერთეული	0	1000	IV კვარტალი
9	გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშის მომზადება შესაბამის სტრუქტურებისათვის წარდგენა;	წლის განმავლობაში მოწოდებული ინფორმაციის შესრულებული სამუშაოების ანალიზი, ანგარიში დამუშავებული სტატისტიკურად;	ბუკლეტი	300	0	IV კვარტალი

10	საკონსულტაციო-საატესტაციო კომისიის საქმიანობაში ჩართულობა, მუნიციპალურ ერთეულში საჯარო სამსახურში მიღების დაწინაურების პროცესში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა;	კომისიის წევრი	კომისიის წევრი	0	0	საჭიროებისამებრ
ჯამი:				4800	216 000	
				220 800 ლარი		

<u>სოციალური დაცვის პროგრამები გენდერულ ჭრილში</u>

- **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა**
  ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა უმწეო ოჯახების, მარტოხელა მშობლის, ტყუპების შეძენის შემთხვევაში, დედ–მამით ობოლი ბავშვების და ***ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა*** ერთჯერად დახმარებას, კონკრეტულად: **800 ლარამდე** ერთჯერადი ფულადი დახმარება – სტატუსის მქონე ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისათვის.
- **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა**
  - **100 ლარიანი** ყოველთვიური ფულადი დახმარება ბინის დროებით დასაქირავებლად – საკუთარი საცხოვრებლის არმქონე უმწეო პენსიონერების, შშმ პირების, მარტოხელა მშობლების (სტატუსის მქონე) და მოხუცების, მარჩენალდაკარგული პირების (რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები), მრავალშვილიან და ოჯახში ***ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისათვის,*** რომლებსაც შეექმნათ განსაკუთრებით მძიმე პირობები (სოციალური მდგომარეობისა და პირობების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე).
- **სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში;**
- **კრიზისული ცენტრი;** მერიის მხარდაჭერით შეიქმნა ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი, რომელიც მართვის უფლებით გადაეცა არასამთავრობო ორგანიზაციას 2021 წლიდან კრიზისული ცენტრი იფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, როგორც მერიის სოციალური პროგრამა;
- **ხანდაზმულთა დღის ცენტრი;**
- **ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისი;**
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;**
- **ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის მაღალი რისკის 25-70 წლის ქალებში.**

ცხრილი N2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამები

გენდერულ ჭრილში

N	პროგრამების დასახელება	2020 წ. ხარჯი	ბენეფიციართა რაოდენობა	სქესი		პროცენტული მაჩვენებელი
				მდედრ	მამრ	
1	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	199500	693	392	301	56.60%
2	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	53600	46	28	18	60.80%
3	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	85900	274	222	52	81%
4	შეზღუდული შესაძლებლობისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია	312800	1211	781	430	64.50%
5	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	56800	284	136	148	48.00%
6	ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამა	21900	190	146	44	76.70%
7	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	71200	550	374	176	68.00%
8	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	135600	4782	3230	1552	67.50%
9	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	185800	148	86	62	81.00%
10	დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	31900	319	207	112	64.90%
11	სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური და ფინანსური დახმარების პროგრამა	191600	1191	792	399	66.50%
12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა	14700	95	87	8	91.60%
13	უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	571900	45	26	19	57.80%
14	პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“	7520	37	32	5	86.50%
	ჯამი	**1940720**	**9865**	**6539**	**3326**	**66.30%**

ცხრილი N3

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები გენდერულ ჭრილში

N	ქვეპროგრამის დასახელება	2020 წ. ხარჯი	დაფინანსებულთა რაოდენობა	სქესი		პროცენტული მაჩვენებელი
				მდედრ.	მამრ	
1	ძვირადღირებული მედიკამენტი	285081	1803	998	805	55.3%
2	გამოკვლევები (მრტ, კტ, კორონაროგრაფია)	168445	706	401	305	56.8%
3	ოპერაციის დაფინანსება	332640	506	314	192	62%
4	ბცდ/დაუნი /სხვა პარალიზური სინდრომი/ განვითარების ეტაპების დაყოვნება	69184	140	47	93	33.6%
5	აუტიზმი	286524	65	18	47	27.7%
6	სპეციალური მოვლის საშუალება	872	5	2	3	40%
7	სმენის აპარატი	45000	3	2	1	66.6%
8	პალიატიური მზრუნველობა	3600	3	1	2	33.3%
9	სკრინინგი	28500	483	483	0	100%
10	იშვიათი დაავადებები (ცელიაკია/ფენილკეტონური/ მუკოისციდოზი)	35500	10	6	4	60.0%
	ჯამი	**1255346**	**3724**	**2272**	**1452**	**62.0%**

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

<u>მოქალაქეთა ჩართულობა</u>

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 53 ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნა მოხალისეთა მუშა ჯგუფები, თითოეულში 5-5 კაცის ოდენობით. ჯგუფების ამოცანაა ხელი შეუწყონ ადგილობრივ დონეზე გენდერული საკითხების, განსაკუთრებით ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემების იდენტიფიცირებას, ითანამშრომლონ შესაბამის უწყებებთან. დაგეგმილია გენდერულ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი სპეციალისტების ჩართვა აღნიშნულ ჯგუფებში. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა.

<u>სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა</u>

- 2020 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამიდან** დაფინანსდა 4 პროექტი, რომლებიც წარმოადგინა სამოქალაქო სექტორმა. აქედან, გენდერულ ჭრილში დაფინანსდა:

- ასოციაცია **„მერკური“** - გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა სამეგრელოს რეგიონში(5000 ლარი)
- ასოციაცია **"ბჟალარა"** – შესაძლებლობების რეალიზაცია ბიზნეს საქმეში წარმატების მისაღწევად, რომელიც ითვალისწინებს მარტოხელა, ძალადობის მსხვერპლი, მარჩენალდაკარგულ ქალთა გადამზადებას საბუღალტრო-კომპიუტერულ პროგრამებში დასაქმების პერსპექტივით(5000 ლარი).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს გენდერულ პრობლემებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორთან. მიმდინარე წელს მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ ტრენინგებსა თუ შეხვდრებში.

ცხრილი N4

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების და მერიის სხვა სამსახურების ჩართულობა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებზე.

2020 წ

N	თარიღი	ორგანიზაცია	ტრენინგი/შეხვედრა	მონაწილეთა რაოდენობა	მათ შორის	
					I-II რანგი	სპეციალისტები
1	29-30.01.2020	საერთაშორისო სოლიდარობის ცენტრის საქართველოს წარმომადგენლობა	გენდერული ფორუმი	2	2	0
2	26.02.2020	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ქალთა ოთახების სტანდარტიზაციის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში	3	3	0
3	25-26.06.2020	სახალხო დამცველის აპარატი	ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე - ონლაინ შეხვედრა	2	2	0
4	29.06.2020	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გაძლიერება COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში	6	6	0
5	03.08.2020	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შესახებ არსებული სიტუაციის კვლევა და მათი ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი მეთოდოლოგიისა და გზამკვლევის მომზადება - ონლაინ შეხვედრა	6	6	0
6	15.07.2020	ორგანიზაცია სოციალური ცვლილებებისათვის	გენდერული თანასწორობის საბჭოების გაძლიერება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებსა და უფლებებზე - ონლაინ შეხვედრა	6	4	2
7	17-18-19 07.2020	ფონდი სოხუმი	ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ოჯახის გაძლიერებისა და ძალადობის პრევენციის საკითხებში	2	1	1

8	**21.07.2020**	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გაძლიერება COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში - ონლაინ შეხვედრა	4	3	1
9	**30.07.2020**	EMT განათლებისა და მართვის გუნდი	პროექტი DVVI ფარგლებში ქალთა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის პლათფორმის შექმნა - ონლაინ შეხვედრა	3	2	1
10	**12.08.2020**	საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობა თა ეროვნული ასოციაცია, გაეროს ქალთა ორგანიზაცია	გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაცია, ინიციატივა კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში - ონლაინ შეხვედრა	1	1	0
11	**21.08.2020**	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა სამუშაო შეხვედრა უწყებათაშორისი საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით - ონლაინ შეხვედრა	8	8	0
12	**26.08.2020**	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ოჯახში ძალადობის პრევენციის გაძლიერების მიზნით უწყებათაშორისი საბჭოების შექმნის თაობაზე	4	4	0
13	**04.09.2020**	ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი-NDI	გენდერული თანასწორობის პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე-გამოწვევები და შესაძლებლობები	2	2	0
14	**4-5-6.09.2020**	SOS ბავშვთა სოფელი	ოჯახის საჭიროებაზე დაფუძნებული ინტერვენცია	4	1	3
15	**09.09.2020**	ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი-NDI	გენდერული თანასწორობის პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე-გამოწვევები და შესაძლებლობები	2	1	1
16	**10.09.2020**	SOS ბავშვთა სოფელი	ოჯახის საჭიროებაზე დაფუძნებული ინტერვენცია	5	1	4
17	**16-17-18.09.2020**	SOS ბავშვთა სოფელი	ოჯახის საჭიროებაზე დაფუძნებული ინტერვენცია	4	1	3
18	**17.11.2020**	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	გენდერული თანასწორობის კომისიის ფარგლებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პლათფორმა	8	8	0
19	**20.11.2020**	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	9 მუნიციპალიტეტში ჩატარებული გენდერული კვლევის შედეგების პრეზენტაცია	5	5	0
20	**25.11.2020**	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება კოვიდით გამოწვეული კრიზისის პერიოდში 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში	5	5	0

21	**26.11.2020**	ფონდი სოხუმი	მრგვალი მაგიდა „ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა კოვიდ 19 ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ“	3	2	1
22	**27.11.2020**	ქალთა ფონდი საქართველოში	გენდერული თანასწორობის საბჭოებთან შეხვედრა	5	4	1
23	**01.12.2020**	GOV SIGMA	საჯარო სექტორში გენდერულად მგრძნობიარე დასაქმების საკითხებზე ორგანიზებული ვებინარი: საჯარო სამსახურში ქალთა თანასწორობისკენ მიმართული ძალისხმევა“	4	4	0
24	**10.12.2020**	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება COVID-19 გამოწვეული კრიზისის პერიოდში 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გამართული კონფერენცია "ჩვენი მონაწილეობა თანადგომისთვის!"	3	3	0
25	**17.12.2020**	IDFI	კონფერენცია „ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების გაძლიერება“	2	2	0
26	**18.12.2020**	დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი	გენდერული თანასწორობის საბჭოები და არსებული პრაქტიკის გაზიარება	2	2	0
27	**21.12.2020**	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გამართული ვებინარი ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებზე მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიის წევრებისათვის	2	2	0
28	**23.12.2020**	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	კონფერენცია „მომავალი ძალადობის გარეშე“	5	5	0

ზუგდიდის მუნიციპალიტეტიის მერიასთან აქტიური თანამშრომლობით:

- ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და GIZ-ის მიერ ჩატარდა კვლევა - „გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შეფასება, გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები.“
- ფონდი სოხუმის მიერ კონფლიქტის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ყველაზე მოწყვლადი ოჯახების ქალებს გადაეცა მოსწავლეებისათვის საჭირო ტექნიკა(სმარტფონები და ლეპტოპები)
- ფერმერ ქალთა ასოციაციამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 102 ქალს პროექტების წერის მიმართულებით უნარ-ჩვევების ამაღლების კუთხით ჩაუტარა ტრენინგები და გადასცა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის სხვადასხვა სახის ტექნიკა და აღჭურვილობა.

<u>უწყებათაშორისი კომისია</u>

ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა(დანართი N8) ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის უფროსი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი - მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების უფროსი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის უფროსი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამეგრელო ზემო სვანეთის, აჭარისა და გურიის ტერიტორიული სამმართველოს წარმომადგენელი;
- სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენელი სამეგრელოში;
- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ადამიანური რესურსი, კვალიფიციური კადრები, ურთიერთთანამშრომლობა და დიპლომატიური მიდგომა. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობენ ამ დარგში კომპეტენტური საჯარო მოხელეები. ასევე, ხდება თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან სამოქალაქო სექტორიდან.

ფინანსურ რესურსს, რაც შეეხება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია 2016 წლიდან სისტემატიურად ზრდის სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით ბიუჯეტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავნერგოთ, განვახორციელოთ და გავაუმჯობესოთ აღნიშნული პროგრამები გენდერულ ჭრილში.



2020 წლის სოციალური დაცვის პროგრამების გენდერული მგრძნობიარობა იხილეთ ცხრილი N2-ში.

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობისათვის მერიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად ხელმისაწვდომია(ტრანსპორტი, ყველა საჭირო ტექნიკით აღჭურვილი სააქტო დარბაზი და სხვა).

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

დაგეგმილი აქტივობების შეფერხება განაპირობა COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ. მოქალაქეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით დაგეგმილი შეხვედრები ვერ განხორციელდა. აქვე მოკლედ გაცნობებთ COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის დასაწყისში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის აქტივობებს

გენდერულად მგძნობიარე რისკის ჯგუფების მხარდაჭერა COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (დანართი N8) შეიქმნა სპეციალური სამუშაო კომისია, რომლის წევრები იყვნენ სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე სამსახურის ხელმძღვანელი პირები. კომისიის მიერ, NCDC-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, განისაზღვრა რისკჯგუფები, შემუშავდა სამოქმედო გეგმა და გამოვლინდა მოქალაქეთა საჭიროებები, მათ შორის გათვალისწინებულ იქნა ქალთა და ბავშვთა საჭიროებები და განისაზღვრა შემდეგი მოწყვლადი ჯგუფები: მარტოხელა მშობლები, ძალადობის მსხვერპლი ქალები, მრავალშვილიანი ოჯახები, მერიის შინმოვლის სერვისის ბენეფიციარები - მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულები (ბენეფიციართა რაოდენობით 100-დან 97 ქალია), მარჩენალდაკარგული პირები, 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მძიმე და ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვები.

- პანდემიის აქტიური მოქმედების პერიოდში აღნიშნულ რისკ-ჯგუფების მქონე ბენეფიციარებზე გაცემულ იქნა 4762 კვების პროდუქტების პაკეტი მ.შ. 87% ქალზე. ხოლო, სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე გაიცა 8000ზე მეტი კვების პაკეტი.
- აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოწყვლად ქალთა ჯგუფების საჭიროებებზე კორონა ვირუსით გამოწვეულ პრობლემებთან დაკავშირებით ფონდი ,,სოხუმმა'' ჩაატარა სწრაფი კვლევა, კვლევის შედეგები მიეწოდა მერიას, რომელზეც გაკეთდა შესაბამისი რეაგირება.
- ამასთან, ფონდი „სოხუმისა“ და ასოციაცია „თანხმობის'' მიერ აღნიშნული ზონის ბენეფიციარ ქალთა მოწყვლად ჯგუფებს მიეწოდა კვების პროდუქტების პაკეტები.
- უნდა აღინიშნოს ორგანიზაცია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს'', ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების და სხვა არასამთავრობო სექტორისა და ბიზნეს სექტორის აქტიური მხარდაჭერა.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს შემდეგ უწყებებთან და სამოქალაქო სექტორთან:

- *ქალთა საინფორმაციო ცენტრი*
- *ფონდი „სოხუმი“*
- *ა/ო „თანხმობა“*
- *ასოციაცია „მერკური“*
- *საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „თანაზიარი“*
- *ფერმერ ქალთა ასოციაცია*

სამთავრობო სტრუქტურები:

- *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;*
- *სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრი;*
- *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;*
- *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი;*
- *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამეგრელო ზემო სვანეთის, აჭარისა და გურიის ტერიტორიული სამმართველოს წარმომადგენელი;*
- *სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენელი სამეგრელოში;*

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური მუშაობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით დადებითად ისახება გენდერულად მგრძნობიარე მოწყვლად ჯგუფებზე. ხდება მოქალაქეთა აქტიური ინფორმირებულობა გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების საკითხებზე. გაზრდილია მოქალაქეთა ნდობა თვითმმართველობის მიმართ. (ძალადობის მსხვერპლთა მომართვიანობის სტატისტიკა გვ.18).

მნიშვნელოვნად გადადგმული ნაბიჯია ყოველწლიური ანგარიშის შედგენა, სადაც გენდერულ ჭრილში წარმოდგენილია ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობა, რაც გვაძლევს ანალიზის საშუალებას, რომ მუნიციპალური პროგრამები მეტნაკლებად მორგებულია ქალთა საჭიროებებზე.





გენდერული თანასწორობის საკითხებზე წლიური ანგარიში წარედგინა დაინტერესებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული ფორმით. განთავსებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე: http://zugdidi.mun.gov.ge/ge/genderuli-tanascoroba (დანართიN6)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნამ დადებითი გავლენა იქონია უწყებებს შორის ძალადობის მსხვერპლთათვის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის თვალსაზრისით.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გამოცდილება გენდერული თანასწორობის მიმართულებით სხვადასხვა სექტორის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე ინტერესს იწვევს. სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილებას არაერთხელ ჩაუტარებია პრეზენტაცია აღნიშნულ საკითხზე, ხოლო, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ხშირად არის მიწვეული არასამთავრობო სექტორის მიერ, როგორც ექსპერტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს აქვს გენდერული თანასწორობის კუთხით მუშაობის საინტერესო პრაქტიკა.

წარმატების განმსაზღვრელი უპირველეს ყოვლისა არის ამ თემით დაინტერესება და სიღრმისეული კვლევა. თითოეულ მუნიციპალურ პროგრამას სჭირდება ანალიზი გენდერულ ჭრილში, რათა განისაზღვროს ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული მგრძნობიარობა. ქალისა და კაცის საჭიროებები ზოგ შემთხვევაში განსხვავებულია, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყოველი წლის ბიუჯეტის შედგენისას.

გენდერული თანასწორობის საკითხების წარმატებით განსახორციელებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა შექმნა რამოდენიმე მექანიზმი და ჩამოაყალიბა ერთიან სქემად(იხ. გვ.5). ჩვენი გამოცდილებით, აღნიშნული სქემის ჩამოყალიბებით მივაღწიეთ მოცემულ შედეგებს.

- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ გენდერული თანასწორობის; ოჯახებისა და ბავშვების მხარდაჭერის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, 2019 წელს დანერგა ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი, რომელიც მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთერთ ადმინისტრაციულ ერთეულში. 2020 წელს აღნიშნული კრიზისული ცენტრის სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურებით 67-მა ძალადობის მსხვერპლმა ისარგებლა. აქედან, 28 ბენეფიციარმა (22 ქალი, 6 ბავშვი) გაიარა რამოდენიმე კვირიანი რეაბილიტაცია, ხოლო, 37 ბენეფიციარს გაეწია ინდივიდუალური კონსულტაციები ძალადობის მსხვერპლზე მორგებული სერვისების მისაღებად.

  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული ცვლილება;

გენდერული თანასწორობის საკითხი არა ცალკე აღებული პრობლემაა, არამედ მერიის ყველა სტრუქტურული ერთეულის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. მთავარია მისი სწორი დაგეგმარება და ანალიზი. აქედან გამომდინარე, არ საჭიროებს ბიუჯეტში რაიმე სახის დამატებას.

გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

მომართვიანობიდან გამომდინარე აღნიშნული პროგრამები არის აქტუალური და მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული. ყველა აღნიშნული პროგრამა/სერვისი ასახულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად არის ჩართული გენდერული თანასწორობის საკითხებში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომლის წევრები არიან, როგორც ადგილობრივი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს სხდომაზე მიმდინარეობს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება.

შესაბამის კომისიას/ფრაქციას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი გენდერული თანასწორობის საკითხების პროგრამები. წარდგენილი პროგრამების უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა 2020 წლის ანგარიში (დანართიN6), როგორც წერილობით, ასევე, პრეზენტაციის სახით, რაც საკრებულოს წევრების მიერ დადებითად შეფასდა.

11. პრაქტიკასთან/ინიციატივასთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სამომავლო გეგმები არის მეტად აქტიური მუშაობა და მოსახლეობასთან კომუნიკაცია გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების თემებზე. მიღწეული შედეგების მიუხედავად საჭიროა მეტი პროექტების შემუშავება და არსებულის გაძლიერება.

მიმდინარეობს, მნიშვნელოვანი პროექტის - **„ქალთა ოთახის“** დანერგვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, რომლის სრულად ფუნქციონირება დაგეგმილია 2022 წლის დასაწყისში.

პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე სპეციალურად შექმნილი მოხალისეთა ჯგუფების მობილიზება და მათთან აქტიური შეხვედრები.

დაგეგმილია გენდერულ ჭრილში სიღრმისეული კვლევის ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
- **გოგი რევია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. ტელ: 595322402 gogirevia@gmail.com
- **თამარ ჩიქავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი. ტელ: 555650050 tamarachikava@gmail.com

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

1. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭოსა და დებულების დამტკიცების შესახებ;
2. „ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა“
3. „ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუქა“
4. სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების შექმნა;
5. გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
6. სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ 2020 წელს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული მუშაობის ანგარიში;
7. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ფარგლებში ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“ ფარგლებში 2019-2020 წლებში განხორციელებული აქტივობები;
8. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გაფართოების პრევენციის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ.

განაცხადის მიღების ვადაა 2021 წლის 1 ნოემბერი - 3 დეკემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge